პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 298 (5399) | პარასკევი, 30 დეკემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

ყოველმხრივ განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილებას **„შრომის დისციპლინის მოწესრიგების, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის პრაქტიკის გაუმჯობესებისა და ამ საქმეში ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“**.

ეს არის განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტი, დოკუმენტი, რომელიც კოლოსალურ როლს ითამაშებს სოციალიზმის შემდგომ გამარჯვებათა მოპოვებაში. ეს დადგენილება სავსებით შეესაბამება მუშათა და მოსამსახურეთა მოთხოვნებსა და წინადადებებს, რომლებიც მათ გამოსთქვეს პრესის ფურცლებზე და ასობით კრებებზე, შრომის დისციპლინის მოწესრიგების აუცილებლობის შესახებ. პატიოსანი, კეთილსინდისიერი მუშაკები ამ გადაწყვეტილებაში ჰპოვებენ თავისი ინტერესების სანადეო და მტკიცე დაცვას, იმ ინტერესებისა, რომლებსაც არღვევენ ფრენიები, ცუღლუტები, სამუშაოს გამცდენები, წამგლეჯები.

ჩვენს ქვეყანაში შრომა სათაკილო ტვირთისაგან, მძიმე ბეგრისაგან, როგორიც იყო იგი კაპიტალიზმის დროს, გადაიქცა ღირსების საქმედ, დიდების საქმედ, სიმამაცისა და გმირობის საქმედ. ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასების ფსიქოლოგიაში მომხდარი უდიდესი გარდატეხის შესანიშნავი გამოვლინება, შრომისადმი ახალი დამოკიდებულების გამოვლინება გახდა მასების დიადი სოციალისტური შეჯიბრება და მისი უმაღლესი ფორმა — სახალხო სტახანოვური მოძრაობა.

ათეულ მილიონობით საბჭოთა ადამიანები პატიოსნად და თავგანწირულად შრომობენ ხალხის კეთილდღეობისათვის, ამრავლებენ ჩვენი სამშობლოს სიმდიდრეს. მაგრამ პატიოსან და კეთილსინდისიერ მუშაკებთან ერთად ჯერ კიდევ არიან ისეთებიც, რომლებიც ბოროტად იყენებენ საბჭოთა კანონებსა და წესებს შრომის შესახებ და იყენებენ მათ თავიანთი ანგარებითი ინტერესებისათვის, ხალხის ინტერესების წინააღმდეგ. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ჯერ კიდევ პირველ თვეებში ლენინი მოგვიწოდებდა „დავიცვათ მუშათა კლასის ინტერესები იმ ერთ მუშა მუშათაგან, მუშების იმ ჯგუფთაგან, ფენათაგან, რომელნიც დაინებით ებღაუჭებიან კაპიტალიზმის ტრადიციებს (ჩვეულებებს) და განაგრძობენ საბჭოთა სახელმწიფოზე წინანდებურად ცქერას: მისცენ „მას“ რაც შეიძლება ნაკლები და უფრო ცუდი სამუშაო, — წაჰგლეჯონ წამას“ რაც შეიძლება მეტი ფული“. ასეთი ადამიანები ჩვენში ჯერ კიდევ არ გადაშენებულან. შრომის ახალი დისციპლინის შექმნა, მიუხედავად ამ დარგში მიღწეული უდიდესი წარმატებებისა, ჯერ კიდევ რჩება ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად.

ამხანაგი სტალინი ამბობდა, რომ „სოციალიზმი მოითხოვს არა ცუღლუტობას, არამედ იმას, რომ ყველა ადამიანი პატიოსნად შრომობდეს“.

ამიტომ ასეთი სიძლიერით, ასეთი მრისხანებით ილაშქრებენ პატიოსანი მუშები და მოსამსახურეები იმათ წინააღმდეგ, ვინც ცუღლუტობს, ვინც სამუშაოს აცდენს, ვინც საწარმოდან საწარმოში „დაფრინავს“, ვინც სოციალისტური წარმოების დეზორგანიზაციას ეწევა და ამით ხალხის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებს. ამ ბოლო დროს „პრავდაში“ და სხვა გაზეთებში დაბეჭდილი მუშათა და მოსამსახურეთა წერილები შრომის დისციპლინის განმტკიცების აუცილებლობის შესახებ მკაფიოდ მოწმობენ მასების სოციალისტური შეგნებულობის უდიდეს ზრდას. მუშები და მუშა ქალები გადაჭრით ილაშქრებენ წარმოების დეზორგანიზატორების წინააღმდეგ, აშკარაებენ ფრენიებსა და თავკერძებს, ასახელებენ იმ ცუღლუტებისა და პარაზიტების სახელსა და გვარს, რომლებიც ხალხის საზიანოდ ხარწიან შრომის დისციპლინას. მუშებმა და მოსამსახურეებმა მოითხოვეს, რომ ჩვენმა კანონმდებლობამ მკვეთრი ზღვარი გაავლოს პატიოსან მუშაკებსა და ცუღლუტებს შორის. **წახალისება იმათ, ვინც პატიოსნად შრომობს! ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, ვინც სოციალისტური წარმოების დეზორგანიზაციას ეწევა!**

ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მოკლე სამუშაო დღეა — რვა საათის, შვიდი საათის და ექვსი საათისა, სამუშაოს პირობების მიხედვით. შვიდი საათის სამუშაო დღე აქვს მუშების უდიდეს უმრავლესობას — ეს სოციალიზმის ქვეყნის მუშათა კლასის უდიდესი მოხვაშვარია. მაგრამ ყველა საწარმოში სწარმოებს თუ არა მუშაობა თანახმად კანონისა სრულ 8, 7 და 6 საათს? არა, სრულებითაც არა ყველაში, ვინაიდან ჯერ კიდევ ძალიან ბლომია შრომის დისციპლინის ისეთი უაღრესად უხეში დარღვევები, როგორიცაა სამუშაოზე დაგვიანება, სასადილოდ ნაადრევად წასვლა, ნასადილევს დაგვიანებით მოსვლა, საწარმოდან ნაადრევად წასვლა, სამუშაო დროს უსაქმურობა. „სახელმწიფო მოითხოვს და მუშათა კლასი მხარს უჭერს ამ მოთხოვნას, რომ სამუშაო დღის კანონით დაწესებული ხანგრძლივობა დაცულ იქნას ზუსტად და ყოველგვარი დარღვევის გარეშე, რომ იქ, სადაც დაწესებულია რვა საათის, შვიდი საათის ან ექვსი საათის სამუშაო დღე, მუშაობა სწარმოებდეს, კანონის თანახმად, სრულ რვა, შვიდ და ექვს საათს. სამუშაოზე დაგვიანება სადილად ნაადრევად წასვლა, ნასადილევს დაგვიანებით მოსვლა, საწარმოდან ნაადრევად წასვლა, აგრეთვე სამუშაო დროს უსაქმურობა — ყოველივე ეს წარმოადგენს შრომის დისციპლინის უაღრესად უხეშ დარღვევებს, კანონის დარღვევებს, რომელიც იწვევს ქვეყნის სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერებისა და ხალხის კეთილდღეობისათვის ძირის გამოთხრას.

საბჭოთა კავშირში მშრომელები მუშაობენ არა კაპიტალისტებისათვის, არამედ თავიანთი თავისათვის, თავიანთი სოციალისტური სახელმწიფოსათვის, მთელი ხალხის საკეთილდღეოდ. მუშათა და მოსამსახურეთა დიდი უმრავლესობა პატიოსნად და კეთილსინდისიერად მუშაობს საწარმოებში, ტრანსპორტზე, დაწესებულებებში, იჩენს შრომისადმი შეგნებულ დამოკიდებულებას, იძლევა დამკვრელობისა და შრომითი მამაცობის ნიმუშებს, ანმტკიცებს სამშობლოს ძლიერებასა და თავდაცვისუნარიანობას.

მაგრამ პატიოსან და კეთილსინდისიერ მუშაკებთან ერთად ჯერ კიდევ არიან ცალკეული შეუგნებელი, ჩამორჩენილი და არაკეთილსინდისიერი ადამიანები — ფრენიები, ცუღლუტები, სამუშაოს გამცდენები და წამგლეჯები.

ეს ადამიანები თავიანთი არაკეთილსინდისიერი მუშაობით, სამუშაოს გაცდენით, სამუშაოზე დაგვიანებით, შრომაბის დროს საწარმოში უმიზნო სიარულით და შრომითი შინაგანაწესის სხვაგვარი დარღვევებით, აგრეთვე ერთი საწარმოდან მეორეში ხშირი თვითნებური გადასვლით შრომის დისციპლინას სცემენ, დიდ ზარალს აყენებენ მრეწველობას, ტრანსპორტსა და მთელს სახალხო მეურნეობას.

ისინი ცდილობენ რაც შეიძლება ნაკლები იმუშაონ სახელმწიფოსათვის, ხოლო თავისთვის რაც შეიძლება მეტი ფული წაჰგლიჯონ. ისინი ბოროტად იყენებენ საბჭოთა კანონებსა და წესებს შრომის შესახებ, იყენებენ მათ თავიანთი ანგარებითი ინტერესებისათვის. ისინი სამუშაო დღის დაწესებულ საათებსაც კი არ მუშაობენ მთლიანად, არამედ ხშირად მხოლოდ 4 ან 5 საათს მუშაობენ და სამუშაო დროის დანარჩენ 2-3 საათს ფუჭად ჰფლანგავენ. ამაზე ხალხი და სახელმწიფო ყოველწლიურად ჰკარგავენ მილიონობით სამუშაო დღეებს და მილიარდობით მანეთებს.

როდესაც ფრენიებსა და ცუღლუტებს სამუშაოდან ითხოვენ, ისინი სასამართლოში ჩივილს იწყებენ, და, არ მუშაობენ რა, ცდილობენ მიიღონ ფული ვითომდა იძულებითი გაცდენისათვის. შრომის დისციპლინის დარღვევისათვის საწარმოებიდან დათხოვნა, როგორც წესი, არ წარმოადგენს რამდენადმე ნამდვილ სასჯელს სამუშაოს გაცდენებისათვის, ვინაიდან მეტწილად ისინი დაუყოვნებლივ ეწყობიან სამუშაოზე სხვა საწარმოებში.

იყენებენ რა ამჟამად მომქმედ კანონს შვებულებათა მიცემის წესის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს შვებულების უფლებას საწარმოსა ან დაწესებულებაში 5 ½ თვის მუშაობის შემდეგ, ფრენიები და ცუღლუტები, გადადიან რა ერთი საწარმოდან მეორეში, წლის განმავლობაში ორი შვებულების მიღებას ახერხებენ და უპირატესობრივ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე კეთილსინდისიერ მუშებთან და მოსამსახურეებთან შედარებით.

ჭარხლებისა და ფაბრიკების მიერ თავისი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის აგებულ სახლებში ბინები ხშირად უკავიათ იმ პირთ, რომლებმაც თვითნებურად მიანებეს თავი ამ საწარმოებში მუშაობას ან დათხოვნილნი არიან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ხოლო ამის გამო ის მუშები და მოსამსახურეები, რომელნიც ხანგრძლივად და პატიოსნად მუშაობენ ერთ საწარმოში, ძალიან ხშირად მოკლებულნი არიან მათთვის საჭირო საცხოვრებელ ფართობს.

დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების საგზურთა განაწილების დროს ფრენიები და გამცდენები ისეთივე უფლებებით სარგებლობენ, როგორითაც პატიოსნად მომუშავე მოსამსახურეები და მუშები. ასევე შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო სადაზღვევო დახმარების გაცემისას, აგრეთვე პენსიების დანიშვნისას საჭირო სიმკვეთრით არ ანსხვავებენ ერთმანეთისაგან მოცემულ საწარმოში არ დაწესებულებაში მუშაობის დიდი განუწყვეტელი სტაჟის მქონე კეთილსინდისიერ მუშაკებსა და შრომის დისციპლინის დამრღვევებს — ფრენიებს, რომელნიც ერთი საწარმოდან და დაწესებულებიდან მეორეში გადარბიან.

ზოგიერთი პროფკავშირული, სამეურნეო, აგრეთვე სასამართლო ორგანო შეუწყნარებელ ანტიხალხურ წყაროებას იჩენს შრომის დისციპლინის დამრღვევთადმი და ხელსაც კი აფარებს მათ — ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესების საზიანოდ, — სწყვეტს რა ხშირად ფრენიებისა და გამცდენების სასარგებლოდ ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო დახმარების გაცემა, საქარხნო ბინებიდან გასახლება და სხვ.

ყოველივე ეს ისეთ მდგომარეობას იწვევს, როდესაც არაკეთილსინდისიერ მუშაკებს, მცირე შრომით, შეუძლიათ იცხოვრონ სახელმწიფოს ხარჯზე, ხალხის ხარჯზე, რაც სამართლიან პროტესტებს იწვევს მუშებისა და მოსამსახურეების უმრავლესობის მხრით და მოითხოვს ერთგვარ ცვლილებათა შეტანას შრომის შინაგანაწესის არსებულ წესებსა და სოციალური დაზღვევის ნორმებში, რათა შემდეგში არ იქნას დაშვებული თანაბარი დამოკიდებულება კეთილსინდისიერი მუშაკებისა და ცუღლუტებისადმი, ფრენიებისადმი, რათა წახალისებულ იქნან მხოლოდ პატიოსნად მომუშავე მუშები და მოსამსახურეები, და არა ისინი, ვინც ძირს უთხრის შრომის დისციპლინას და იოლად გადარბის ერთი საწარმოდან მეორეში.

დიდ ბოროტმოქმედებას აქვს ადგილი აგრეთვე ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებათა გამოყენების პრაქტიკაში. ხშირია ისეთი ფაქტები, როდესაც ზოგიერთი ქალი, ისწრაფვის რა მოტყუებითი გზით ხელი მოითხოს სახელმწიფოს ხარჯზე, მშობიარობამდე ცოტა ხნით ადრე შედის სამუშაოდ საწარმოსა და დაწესებულებაში მხოლოდ იმისათვის, რომ 4 თვის შვებულება მიიღოს სახელმწიფოს ხარჯზე და მერე აღარ დაბრუნდეს სამუშაოზე. სახელმწიფოს, ინტერესები მოითხოვენ, რათა დაუყოვნებლივ მოეღოს ბოლო ამ ბოროტმოქმედებებს.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო — **ადგენენ:**

1. დაევალოს საწარმოთა და დაწესებულებათა ადმინისტრაციას პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად გააჩაღოს გადამწყვეტი ბრძოლა შრომის დისციპლინის და შრომის შინაგანაწესის წესების ყველა დამრღვევთან, გამცდენებთან, ცუღლუტებთან, წამგლეჯებთან,—ყველა იმათთან, ვინც არაპატიოსნად ეკიდება თავის შრომითს მოვალეობებს, ვინც უნდა იყოს იგი — მოსამსახურე თუ მუშა.

კანონი მოითხოვს იმ მუშისა თუ მოსამსახურის დათხოვნას, რომელმაც დაუშვა გაცდენა არასაპატიო მიზეზით. ეს ღონისძიება მიმართულია მუქთახორების წინააღმდეგ, რომელთაც არ უნდათ იშრომონ, არამედ ისწრაფვიან იცხოვრონ სახელმწიფოს ხარჯზე, ხალხის ხარჯზე. კანონის მოთხოვნა გამცდენების დათხოვნის შესახებ მტკიცედ უნდა სრულდებოდეს.

კანონით დაწესებულია და მუშათა კლასის მიერ მიღებულია რვა საათის სამუშაო დღე, შვიდი საათის სამუშაო დღე, ექვსი საათის სამუშაო დღე სხვადასხვა საწარმოსა და დაწესებულებისათვის, მუშაობის პირობების მიხედვით. ამასთან მუშათა დიდ უმრავლესობას აქვს შვიდი საათის სამუშაო დღე. სახელმწიფო მოითხოვს და მუშათა კლასი მხარს უჭერს ამ მოთხოვნას, რომ სამუშაო დღის კანონით დაწესებული ხანგრძლივობა დაცულ იქნას ზუსტად და ყოველგვარი დარღვევის გარეშე, რომ იქ, სადაც დაწესებულია რვა საათის, შვიდი საათის ან ექვსი საათის სამუშაო დღე, მუშაობა სწარმოებდეს, კანონის თანახმად, სრულ რვა, შვიდ და ექვს საათს. სამუშაოზე დაგვიანება, სადილად ნაადრევად წასვლა, ნასადილევს დაგვიანებით მოსვლა, საწარმოდან ნაადრევად წასვლა, აგრეთვე სამუშაო დროს უსაქმურობა —ყოველივე ეს წარმოადგენს შრომის დისციპლინის უაღრესად უხეშ დარღვევას, კანონის დარღვევას, რომელიც იწვევს ქვეყნის სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერებისა და ხალხის კეთილდღეობისათვის ძირის გამოთხრას.

მუშას ან მოსამსახურეს, რომელმაც დაუშვა სამუშაოზე დაგვიანება საპატიო მიზეზების უქონლად, ან ნაადრევად წავიდა სადილად, ან ნასადილევს დააგვიანა მოსვლა, ან ნაადრევად წავიდა საწარმოდან ან დაწესებულებიდან, ან უსაქმურობდა სამუშაო დროს, ადმინისტრაციის მიერ დაედება სასჯელი: შენიშვნა ან საყვედური, ან საყვედური გაფრთხილებით დათხოვნის შესახებ; სხვა, უფრო დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანა ვადით 3 თვემდე, ან დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენება.

მუშა ან მოსამსახურე, რომელმაც ერთი თვის განმავლობაში დაუშვა სამი ასეთი დარღვევა, ან ოთხი დარღვევა ორი თვის განმავლობაში ზედიზედ, დათხოვნილ უნდა იქნას როგორც სამუშაოს გამცდენი, როგორც დამრღვევი კანონისა შრომის და შრომითი დისციპლინის შესახებ.

2. დაწესდეს, რომ შრომის დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა გატარებისაგან თავის არიდებისათვის და სამუშაოს გამცდენებისათვის და ცუღლუტების წინააღმდეგ ზომების მიუღებლობისათვის ამ დადგენილებისა და „სახალხო მიზეზების გარეშე სამუშაოს გაცდენისათვის დათხოვნის შესახებ“ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 15 ნოემბრის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1932 წ. № 78, მუხ. 475) შესაბამისად — საწარმოთა, დაწესებულებათა, საამქროთა და განყოფილებათა ხელმძღვანელებს ზემდგომი ორგანოები პასუხისგებაში მისცემენ თვით საქუშაოდან მოხსნამდე და სამართალში მიცემამდეც კი.

ა) როდესაც ერთსდაიმავე დაწესებულებაში მუშაობის განუწყვეტელი სტაჟი 6 წელზე მეტია ხელფასის 100%
ბ) „ „ 3-დან 6 წლამდე „ 80%
გ) „ „ 2-დან 3 წლამდე „ 60%
დ) „ „ 2 წლამდე „ 50%

6. მოზარდებს 18 წლის ასაკამდე, რომლებიც პროფესიული კავშირის წევრებად ირიცხებიან, მე-5 მუხლში მოხსენებული დახმარება მიეცემათ შემდეგი ოდენობით — მოცემულ საწარმოსა ან დაწესებულებაში განუწყვეტელი მუშაობის სტაჟის მიხედვით: 2 წელს ზევით განუწყვეტელი სტაჟის დროს — ხელფასის 80 პროც. ხოლო 2 წლამდე—ხელფასის 60 პროც. ამასთან მოცემულ საწარმოში განუწყვეტელი მუშაობის სტაჟად ჩაითვლება აგრეთვე საფაბრიკო-საქარხნო მოწაფეობის სკოლაში სწავლაც.

7. ქვანახშირის მრეწველობის მიწისქვეშ მომუშავე მუშაკებს —პროფესიული კავშირის წევრებს, რომლებიც მუშაობენ ქვანახშირის ამოღებასა ან შახტში მოსამზადებელ სამუშაოზე, მე-5 მუხლში აღნიშნული დახმარება მიეცემათ შემდეგი ოდენობით — მოცემულ შახტში განუწყვეტელი მუშაობის სტაჟის მიხედვით: 2 წელზე მეტი განუწყვეტელი სტაჟის დროს—ხელფასის 100 პროც., ხოლო 2 წლამდე—ხელფასის 60 პროც.

8. იმ მუშებსა და მოსამსახურეებს — პროფესიული კავშირის წევრებს, — რომლებიც 1933 წლის 1-ლი იანვრის შემდეგ ამუშავებულ ქარხნებსა და ფაბრიკებში შევიდნენ არაუგვიანეს 1936 წლის 1-ლი იანვრისა და განუწყვეტლივ მუშაობენ იქ, დახმარება შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო (ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების ჩაუთვლელად) ეძლევათ შემდეგი რაოდენობით—ამ საწარმოში განუწყვეტელი მუშაობის სტაჟის მიხედვით: 5 წელზე მეტი განუწყვეტელი სტაჟის დროს—ხელფასის 100 პროც., 3-დან 5 წლამდე—ხელფასის 80 პროც. ამ საწარმოთა მუშებსა და მოსამსახურეებზე, რომელთაც მუშაობის განუწყვეტელი სტაჟი 3 წელზე ნაკლები აქვთ, ვრცელდება შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო დახმარების მიცემის ის წესი, რომელიც გათვალისწინებულია ამ დადგენილების მე-5 მუხლში.

9. მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც პროფესიული კავშირის წევრებად არ ირიცხებიან, დახმარება შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო (ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების ჩაუთვლელად) ეძლევათ ნახევარი რაოდენობით იმ ნორმებთან შედარებით, რომლებიც დაწესებულია კავშირის წევრებისათვის.

10. შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო დახმარების დანიშვნის დროს სტაჟი განუწყვეტლად ითვლება აგრეთვე იმ შემთხვევაშიაც, თუ მუშა ან მოსამსახურე აქამდე ერთი საწარმოდან ან დაწესებულებიდან მეორეში გადავიდა სამეურნეო ორგანოს ან დაწესებულების ადმინისტრაციის განკარგულების საფუძველზე.

11. შრომის დისციპლინის დარღვევისა ან დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნილ და აგრეთვე თავისი სურვილით სამუშაოდან წასულ მუშებსა და მოსამსახურეებს შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო დახმარებით უზრუნველყოფის უფლება აქვთ იმის შემდეგ, როდესაც ისინი ნ თვეს მაინც იმუშავებენ მუშაობის ახალ ადგილას. ეს წესი არ ვრცელდება იმ მუშებსა და მოსამსახურეებზე, რომელნიც სამუშაოდან დათხოვნილნი ან

3. მუშები და მოსამსახურეები საკუთარი სურვილით სამსახურიდან დათხოვნისას მოვალენი არიან ერთი თვით ადრე გააფრთხილონ ამის შესახებ საწარმოთა ან დაწესებულებათა ადმინისტრაცია.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც მუშის ან მოსამსახურის დათხოვნას არ ეწინააღმდეგება საკმაო საფუძველი, იძულებითი გაცდენის ანაზღაურება ხდება საშუალო ხელფასის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 20 დღისა, ამასთან საწარმოთა და დაწესებულებათა ადმინისტრაცია, ფაბქარხკომები, ადგილკომები და შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიები მოვალენი არიან უმართებულოდ დათხოვნის შესახებ საჩივარი განიხილონ 3 დღის განმავლობაში საჩივრის შემოსვლის დღიდან, ხოლო სასამართლო ორგანოებმა—5 დღის განმავლობაში.

5. მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც პროფესიული კავშირის წევრებად ირიცხებიან, დახმარება შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო (ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების ჩაუთვლელად) მიეცემათ შემდეგი ოდენობით — მოცემულ საწარმოსა ან დაწესებულებაში განუწყვეტელი მუშაობის სტაჟის მიხედვით:

6 წელზე მეტია ხელფასის	100%
3-დან 6 წლამდე „	80%
2-დან 3 წლამდე „	60%
2 წლამდე „	50%

თვითნებურად არიან წასულნი ამ დადგენილების გამოქვეყნებამდე.

12. „ქალაქებში საბინაო ფონდის დაცვისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“ სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წ. 17 ოქტომბრის დადგენილების (სსრ კავშირის 1937 წლის კან. კრ. № 69, მუხ. 314) 31 მუხლის საფუძველზე წესდება, რომ ის მუშები და მოსამსახურეები, რომლებსაც მოცემულ საწარმოში მათს მუშაობასთან დაკავშირებით მიცემული აქვთ საკოოპერაციო სადგომი სახელმწიფო საწარმოს, დაწესებულების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახლში (ან ამ საწარმოთა და დაწესებულებათა მიერ იჯარით აღებულ სახლში), იმ შემთხვევაში, თუ ისინი ამ დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ საკუთარი სურვილით წავლენ საწარმოდან ან დაწესებულებიდან ან დათხოვნილი იქნებიან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, აგრეთვე დანაშაულის ჩადენისათვის—აუცილებლად გასახლებულ უნდა იქნან ადმინისტრატიული წესით, ერთი დეკადის ვადაში, საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად.

13. მრრიგი შვებულების უფლება მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ მოცემულ საწარმოში ან დაწესებულებაში 11 თვის განუწყვეტელი მუშაობის გასვლის შემდეგ.

14. დაწესებული წლიური შვებულების გარდა, მუშა ქალებსა და მოსამსახურე ქალებს ორსულობისა და მშობიარობის შემთხვევაში ეძლევათ შვებულება 35 კალენდარული დღით მშობიარობამდე და 28 კალენდარული დღით მშობიარობის შემდეგ, ამასთან ამ პერიოდის განმავლობაში დახმარება მიეცემათ სახელმწიფო ხარჯზე წინათ დადგენილი ოდენობით. აღნიშნული შებულება და ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარება ეძლევათ იმათ, ვისაც მოცემულ საწარმოში განუწყვეტლივ უმუშავნია არანაკლებ 7 თვისა.

15. დასასვენებელი სახლების საგზურთა მიღების უპირატესი უფლება ენიჭებათ იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებსაც მოცემულ საწარმოში ან დაწესებულებაში განუწყვეტლივ უმუშავნიათ 2 წელზე მეტხანს.

16. შვებულებანი შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო (ავადმყოფობა, ორსულობა, მშობიარობა და სხვ.), რომლებიც ამ დადგენილების გამოქვეყნების დროისათვის არ დამთავრებულა, დარჩენილი ვადისათვის ეძლევათ და ანაზღაურდება შვებულების დაწყების დროისათვის მოქმედი წესების მიხედვით.

17. იმ მუშებისა და მოსამსახურეების მიმართ, რომლებიც კერძო დაქირავებულებთან მუშაობენ (შინამოსამსახურე ქალები, საკონცესიო საწარმოთა მუშები და მოსამსახურეები), ამ დადგენილებით გათვალისწინებული საკითხები წესრიგდება განსაკუთრებული წესებით, რომლებსაც გამოსცემს პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო და ამტკიცებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო.

18. შრომის I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის (საერთო დაავადებისაგან) პენსიის მისაღებად მიმართვამდე ერთ საწარმოში ან დაწესებულებაში განუწყვეტელი მუშაობის სტაჟისათვის წესდება შემდეგი წანამატი:

კატეგორია	განუწყვეტელი სტაჟი	პენსიის ოდენობის წანამატი ცენტრებით
I კატეგორია — მიწისქვეშა და მავნე სამუშაოებზე მომუშავე მუშები და მოსამსახურეები.	3-დან 5 წლამდე	10 პროც.
	5-დან 10 წლამდე	20 „
	10 წელს ზევით	25 „
II კატეგორია — მეტალურგიული, მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკური, ქვანახშირის, სამთამადნო, ნავთის, ძირითადი ქიმიური და რეზინის მრეწველობის, რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის საწარმოთა მუშები და მოსამსახურეები.	4-დან 8 წლამდე	10 პროც.
	8-დან 12 წლამდე	15 „
	12 წელს ზევით	20 „
III კატეგორია — დანარჩენი მუშები და მოსამსახურეები	5-დან 10 წლამდე	10 პროც.
	10-დან 15 წლამდე	15 „
	15 წელს ზევით	20 „

პენსიონერებს, რომლებსაც პენსიისათვის მიმართვამდე ერთ საწარმოსა ან დაწესებულებაში განუწყვეტელი მუშაობის 5 წელზე მეტი სტაჟი აქვთ, ენიჭებათ- იმ სასანატორო-საკურორტო საგზურების მიღების უპირატესობრივი უფლება, რომლებსაც პენსიონერებისათვის გამოჰყოფენ.

19. მუშებსა და მოსამსახურეებს ინვალიდობის გამო პენსიები დაენიშნებათ მუშაობის შემდეგი სტაჟის დროს:

ასაკი	მამაკაცებს	ქალებს	მიწისქვეშა და მავნე სამუშაოებზე მომუშავე მამაკაცებს
	სტაჟი		
20-დან 22 წლამდე	3	2	2
22-დან 25 წლამდე	4	3	3
25-დან 30 წლამდე	6	4	4
30-დან 35 წლამდე	8	5	5
35-დან 40 წლამდე	10	7	6
40-დან 45 წლამდე	12	9	7
45-დან 50 წლამდე	14	11	8
50-დან 55 წლამდე	16	13	10
55-დან 60 წლამდე	18	14	12
60 წელს ზევით	20	15	14

იმ შემთხვევაში, თუ ინვალიდობა 20 წლის ასაკის მიღწევამდე მოხდა, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც ინვალიდობა შრომითმა დაზიანებამ ან პროფესიულმა დაავადებამ გამოიწვია, პენსიები დაენიშნებათ სტაჟის ხანგრძლივობის მიუხედავად.

20. პენსიონერებს, რომლებიც გაანგრძობენ მუშაობას მას შემდეგ, რაც მათ დაენიშნათ პენსია **მოხუცებულობის გამო**, ეს პენსიები მიეცემათ შემოსავლის მიუხედავად.

მხედველობაში არ მიიღება აგრეთვე თვეში 100 მანეთამდე შემოსავალი, რომელსაც I და II ჯგუფების ინვალიდები იღებენ სახლში შესრულებული სამუშაოსათვის, რასაც მათ ინვალიდთა კოოპერაციის არტელები აძლევენ; იმ შემთხვევაში კი როდესაც ამ ინვალიდთა შემოსავალი თვეში 100 მანეთს აღემატება, პენსია სათანადოდ შემცირდება, მაგრამ ამასთან ინვალიდს ენახება პენსიის არანაკლებ 50%-სა.

21. განუწყვეტელი სტაჟისათვის წანამატებისა და პენსიონერთა ხელფასის აღრიცხვის შეღავათების და-

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

შრომის დისციპლინის მოწესრიგების, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის პრაქტიკის გაუმჯობესებისა და ამ საქმეში ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილება

საბჭოთა კავშირში მშრომელები მუშაობენ არა კაპიტალისტებისათვის, არამედ თავიანთი თავისათვის, თავიანთი სოციალისტური სახელმწიფოსათვის, მთელი ხალხის საკეთილდღეოდ. მუშათა და მოსამსახურეთა დიდი უმრავლესობა პატიოსნად და კეთილსინდისიერად მუშაობს საწარმოებში, ტრანსპორტზე, დაწესებულებებში, იჩენს შრომისადმი შეგნებულ დამოკიდებულებას, იძლევა დამკვრელობისა და შრომითი მამაცობის ნიმუშებს, ანმტკიცებს სამშობლოს ძლიერებასა და თავდაცვისუნარიანობას.

მაგრამ პატიოსან და კეთილსინდისიერ მუშაკებთან ერთად ჯერ კიდევ არიან ცალკეული შეუგნებელი, ჩამორჩენილი და არაკეთილსინდისიერი ადამიანები — ფრენიები, ცუღლუტები, სამუშაოს გამცდენები და წამგლეჯები.

ეს ადამიანები თავიანთი არაკეთილსინდისიერი მუშაობით, სამუშაოს გაცდენით, სამუშაოზე დაგვიანებით, შრომაბის დროს საწარმოში უმიზნო სიარულით და შრომითი შინაგანაწესის სხვაგვარი დარღვევებით, აგრეთვე ერთი საწარმოდან მეორეში ხშირი თვითნებური გადასვლით შრომის დისციპლინას სცემენ, დიდ ზარალს აყენებენ მრეწველობას, ტრანსპორტსა და მთელს სახალხო მეურნეობას.

ისინი ცდილობენ რაც შეიძლება ნაკლები იმუშაონ სახელმწიფოსათვის, ხოლო თავისთვის რაც შეიძლება მეტი ფული წაჰგლიჯონ. ისინი ბოროტად იყენებენ საბჭოთა კანონებსა და წესებს შრომის შესახებ, იყენებენ მათ თავიანთი ანგარებითი ინტერესებისათვის. ისინი სამუშაო დღის დაწესებულ საათებსაც კი არ მუშაობენ მთლიანად, არამედ ხშირად მხოლოდ 4 ან 5 საათს მუშაობენ და სამუშაო დროის დანარჩენ 2-3 საათს ფუჭად ჰფლანგავენ. ამაზე ხალხი და სახელმწიფო ყოველწლიურად ჰკარგავენ მილიონობით სამუშაო დღეებს და მილიარდობით მანეთებს.

როდესაც ფრენიებსა და ცუღლუტებს სამუშაოდან ითხოვენ, ისინი სასამართლოში ჩივილს იწყებენ, და, არ მუშაობენ რა, ცდილობენ მიიღონ ფული ვითომდა იძულებითი გაცდენისათვის. შრომის დისციპლინის დარღვევისათვის საწარმოებიდან დათხოვნა, როგორც წესი, არ წარმოადგენს რამდენადმე ნამდვილ სასჯელს სამუშაოს გაცდენებისათვის, ვინაიდან მეტწილად ისინი დაუყოვნებლივ ეწყობიან სამუშაოზე სხვა საწარმოებში.

იყენებენ რა ამჟამად მომქმედ კანონს შვებულებათა მიცემის წ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილება

(დასასრული)

წესებასთან დაკავშირებით (ამ დადგენილების 18 და 20 მუხლები)—უქმდება ყველა სახის პენსიისა და ინვალიდობის ყიცილა ჯგუფის მიხედვით წანამატები და გადაანგარიშებანი, რომლებიც დაწესებულია სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1932 წლის 29 თებერვლის № 47 დადგენილების 4, 6, 8, 13, 19 და 20 მუხლებით.

წინათ დარიცხული წანამატები წინანდელი ოდენობით რჩება.

22. პენსიონერებს, რომლებიც სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებს დაუმალავენ თავიანთ ხელფასს ან სხვა შემოსავალს, რაც აღრიცხულ უნდა იქნას პენსიების

პენსიონერთა კატეგორიები	რომელთაც არა ჰყავთ თჯახის პრარმომსუბ-ველი	რომელთაც ჰყავთ თჯახის არაშრომ-ველი წევრი	რომელთაც ჰყავთ თჯახის ორი და მეტი არაშრომ-ველი წევრი
პენსიონერები, რომელნიც ღებულობენ პენსიას მოხუცებულობისა ან ნამსახურობის გამო, და I ჯგუფის ინვალიდები	50 მან.	60 მან.	75 მან.
II ჯგუფის ინვალიდები . . .	40 მან.	50 მან.	60 მან.
ოჯახები, რომლებმაც დაჰკარგეს მარჩენალი	—	30 მან.	40 მან.

გაცემის დროს, ერთობლივათ პენსია 6 თვეი.

23. იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირში პენსიებით უზრუნველყოფის საერთო მაღალი დონის პირობებში, მოიპოვებიან ისეთი პენსიონერები, რომელნიც პენსიაზე გადავიდნენ მრავალი წლის წინათ, როდესაც პენსიების ნორმები და ხელფასის დონე მნიშვნელოვნად ნაკლები იყო, ვიდრე ამჟამად არის —დაწესდეს, რომ პენსიები ახალ მწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით, მათი დანიშვნის დროის დამოუკიდებლად, უნდა იყოს არანაკლები შემდეგი ოდენობისა თვეში (ყველა წანამატის ჩათვლით):

25. სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრების მთელი ეკონომია, ამ დადგენილების გატარებასთან დაკავშირებით მიღებული, პროფესიულმა კავშირებმა უნდა მოახმარონ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის საცხოვრებელი სახლების, ბაგებისა და საბავშვო ბაღების დამატებითს მშენებლობას—იმ სახსრების გადამიტებით, რომლებსაც ამ მიზნებისათვის იძლევა მთავრობა.

26. ეს დადგენილება ძალაში შედის 1939 წლის 1 იანვრიდან.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე — **ვ. მოლოტოვი**

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მდივანი — **ი. სტალინი**

პროფესიული კავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანი — **ნ. შვერნიკი**

1938 წ. 28 დეკემბერი.

ქირურგთა სრულიად-საკავშირო XXIV ყრილობაზე

ხარკოვი, 28 დეკემბერი (საკ-დესი). საბჭოთა კავშირის საუკეთესო ტრავმატოლოგები ამხ. გორინევსკაია (მოსკოვი), დიტერიხსი (მოსკოვი), ოსტენ-საკენი (ლენინგრადი), მიროტვორცევი (სარატოვი), ეოლიანი (ერევანი) და სხვები დღეს დილის სხდომაზე გამოვიდნენ მოხსენებებით ქვედა კიდურთა ძვლებისა და სახსრების ღია დაზიანებათა საკითხზე.

მთავარ მომხსენებელს პროფესორ გორინევსკაიას ამგვარ დაზიანებათა მკურნალობის დიდი გამოცდილება აქვს. სკლიფასოვსკის სახელობის ინსტიტუტის (მოსკოვი) ტრავმატოლოგიურ კლინიკაში, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, 5 წლის განმავლობაში მკურნალობდა 13 ათასზე მეტი ავადმყოფი კიდურთა სხვადასხვა დაზიანებით.

მქუხარე ტაშით ეგებება ყრილობა პროფესორ გორინევსკაიას მოწოდებას ქირურგებისადმი—უკეთ მოემზადონ კიდურთა დაზიანებისას პირველი დახმარების, პროფილაქტიკისა და მკურნალობის ორგანიზაციისათვის იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს საბჭოთა ქვეყანას თავს დაესხმიან ფაშისტი ბარბაროსები.

პროფესორებმა დიტერიხსმა და მიროტვორცევმა თავისი მოხსენებანი მიუძღვნეს სახსრების დაზიანებათა და სხვადასხვა სახის გართულების მკურნალობის საკითხებს.

○

პროფესორმა ოსტენ-საკენმა (ლენინგრადი) და დოქტორმა რამმა (მოსკოვი) თავიანთ მოხსენებებში დასახეს კიდურთა ამპუტაციის დროს ინვალიდობის შემცირებისა და შრომისუნარიანობის აღდგენის გზები.

○

დღეს შესრულდა სრული 38 წელი დღიდან ქირურგთა პირველი ყრილობის გახსნისა, რომელიც 1900 წელს შესდგა მოსკოვში. პირველი ყრილობის შესახებ მოგონებით გამოვიდა მისი მონაწილე და ახლანდელი ყრილობის დელეგატი პროფესორი კრასნობაევი.

○

მოხსენებათა დამთავრების შემდეგ დილის სხდომაზე დაიწყო კამათი.

მ. ი. კალინინის გამოსვლა მასწავლებელთა თათბირზე

მოსკოვი, 28 დეკემბერი (საკ-დესი). მოსკოვში ორ დღეს გრძელდებოდა მასწავლებელთა თათბირი, რომელიც მოწვეული იყო „უჩიტელსკაია გაზეტას“ რედაქციის მიერ.

გუშინ თათბირზე გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. მ. ი. კალინინი, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

— ჩვენს ქვეყანაში, — სთქვა ამხ. კალინინმა, — იზრდება ახალი ადამიანი. საბჭოთა მასწავლებელმა მას ბავშვობიდანვე უნდა ჩაუნერგოს ადამიანის საუკეთესო გრძნობები. უნდა ვასწავლოთ ბავშვს მხურვალედ უყვარდეს თავისი ხალხი, მთელი მსოფლიოს მშრომელები. უნდა ჩავუნერგოთ მოსწავლეს პატიოსნება და მამაცობა, შრომისადმი სიყვარული და ამხანაგური გრძნობა. მასწავლებელმა ბავშვებში დიდი ხნით უნდა დასტოვოს საუკეთესო შთაბეჭდილებანი სკოლაზე. იგი უნდა წარმოადგენდეს პატიოსნების ნიმუშს, დაუღალავად უნდა ამაღლებდეს თავის კულტურას და ეუფლებოდეს ბოლშევიზმს.

ამხ. კალინინმა მოუწოდა მასწავლებლებს ღრმად შეისწავლონ საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, დაეუფლონ მარქსიზმ-ლენინიზმს. მან დაწვრილებით უპასუხა მასწავლებელთა მიერ მიცემულ კითხვებზე „საკ. კ. პ (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლის შესახებ.

მასწავლებლებმა ბევრი უნდა იკითხონ, უნდა იკითხონ მხატვრული ლიტერატურა, რომელიც ამდიდრებს ადამიანს, ხელს უწყობს მის ზრდას, ადამიანთა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა გაგებას. მასწავლებელი უნდა სარგებლობდეს დიდი რუსული ენის მთელი სიმდიდრით, უნდა ლაპარაკობდეს კარგად და მარტივად და უნდა ასწავლოს ეს ბავშვებს.

ამხ. კალინინმა გამოსთქვა სურვილი, რომ თათბირის შემდეგში უფრო ორგანიზებული ხასიათი ჰქონდეს. თათბირის ბევრი მონაწილე დაკმაყოფილდა ცალკეული მიღწევების ჩვენებით, ისე რომ არ გამოუშკარავებიათ ნაკლოვანებანი და სოფლის სკოლის მუშაობაში არსებული კონკრეტული ნაკლოვანებანი.

მასწავლებლებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს მიხეილ ივანეს-ძეს მისი გამოსვლისათვის და სთხოვეს სალამი გადასცეს საბჭოთა მასწავლებლობის საუკეთესო მეგობარს—ამხანაგ სტალინს.

უფრო ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება

ბოლშევიკების დიადმა პარტიამ ათასობით შესანიშნავი ადამიანები, სოციალისტური შრომის გმირები გამოზარდა. ისინი რეკორდებს ამყარებენ, მეცნიერულ აღმოჩენებს ახდენენ. ჩვენი ქვეყანა მათ სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობა. მხოლოდ ჩვენში, სოციალიზმის ქვეყანაში, ყველას, ვინც კი ხალხს თავის ძალღონესა და ცოდნას სწირავს, შეუძლია წარჩინებული ადამიანი გახდეს.

სოციალისტური შრომის გმირის სპათა სახელწოდების დაწესება და „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“ მედლების შემოღება ახალი აქტია წარმოების, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების ადამიანებისადმი პარტიისა და მთავრობის ზრუნვისა და ყურადღების გამოჩენისა. ეშვი არ არის, რომ მილიონობით პატიოსანი მშრომელები ახალი საწარმოო აღმავლობით გამოეხმაურებიან ამას და კიდევ უფრო ფართოდ გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას.

ა. სტახანოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

კვების მრეწველობამ ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა

ამხანაგების სტალინის, მოლოტოვისა და მიქოიანის სახელზე გაგზავნილ პატაკში სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. კაბანოვი იუწყება, რომ სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის მრეწველობამ მიმდინარე წლის 21 დეკემბრისათვის ვადამდე შეასრულა 100,6 პროცენტით 1938 წლის საწარმოო გეგმა. გამომუშავებულია უცვლელი ფასებით 14.210,7 მილიონი მანეთის პროდუქცია. საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა გეგმა შეასრულეს 101,3 პროცენტით. წლიური საწარმოო გეგმა ვადამდე შესრულეს აგრეთვე რუსეთის სფს რესპუბლიკის, უკრაინის სს რესპუბლიკის, ბელორუსიის სს რესპუბლიკისა და საქართველოს სს რესპუბლიკის კვების მრეწველობის რესპუბლიკურმა საწარმოებმა.

მთელს კვების მრეწველობაში პროდუქციის მატება გასულ წელთან შედარებით შეადგენს 16 პროცენტს ანუ 1.958 მილიონი მანეთისას.

22 დეკემბერს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომის სალექციო დარბაზში შესდგა ამხ. გ. ბეჟანოვის ლექცია თემაზე: მნიშვნელობა ლენინის წიგნისა „რა ვაკეთოთ?“. **სურათზე:** უსმენენ ლექციას.
ფოტო გ. ჩერკასოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

გაუმარჯოს სოციალისტური შრომის გმირებს!

სსრ კავშირი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ლიკვიდირებულია სოციალური უთანასწორობა ადამიანთა შორის. დარჩა და დარჩება ჩვენში უთანასწორობის მხოლოდ ერთი ფორმა—უთანასწორობა კეთილსინდისიერ მუშაკსა და უქნარას შორის, წარმოების პატიოსან მუშაკსა და ფარეშას შორის.

გმირად გახდომა საბჭოთა კავშირში ყველას შეუძლია, თავისი მამაცობა საბჭოთა მოქალაქეს შეუძლია გამოიჩინოს სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის ყოველ უბანზე.

შრომა სსრ კავშირში ტყუილუბრალოდ როდი იკარგება. თავდადებულ, მამაცურ და გმირულ შრომას ყოველნაირად აქეზებენ საბჭოთა მთავრობა, ჩვენი პარტია, ჩვენი ბელადი, მეგობარი და მასწავლებელი ამხანაგი **სტალინი.** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი ამის ახალ დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენენ.

ჩვენი ხალხი პატივისცემით როდი ეპყრობა ფრენებს, გამცდენებსა და წამგლეჯებს. ამიტომ საბჭოთა ხალხი დიდი კმაყოფილებით შეხვდა მთავრობისა და პარტიის დადგენილებას შრომის დისციპლინის მოწესრიგებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

ეჭვი არაა, რომ სოციალისტური შრომის ბევრ გმირს მოგვცემს საბჭოთა ქვეყანა, რომ ჩვენი ქვეყნის ბევრი ერთგული შვილი დაიმშვენებს თავის მკერდს მედლებით „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“.

გაუმარჯოს სოციალისტური შრომის გმირებს!

ა. გუსიგინი

დავალება შესრულებულია

ბაქარმარა, 29 დეკემბერი, (ტელეგრაფით). ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტმა მეოთხე კვარტალის დავალება 26 დეკემბრისათვის შეასრულა—ამოიღო 53.000 ტონა მაღალხარისხოვანი ქვანახშირი.

ხოლო ქვანახშირის ამოღების დეკემბრის გეგმა ტრესტმა შეასრულა 29 დეკემბერს დილის 6 საათისათვის—ამოღებულია 18.300 ტონა ქვანახშირი.

ვოროგიოვი

მშრომელები მიესალმებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებმა სოციალისტური შრომის გმირის სპათა დაწესების და ძველწოდების „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“ შემოღების შესახებ უდიდესი სიხარულისა და სიამაყის გრძნობა გამოიწვია ჩვენი ქვეყნის მშრომელთა შორის და ახალი ძალა შეჰმატა მათ.

მოსკოვის სტალინის სახელობის ავტომქარხნის საამქროებში შესდგა ბრძანებულებებისადმი მიძღვნილ კითხვა და საუბრები. სამქედლოს საუკეთესო სტახანოველმა ძტვირ ფრავმა ამხ. სუხარევმა კითხვის შემდეგ განაცხადა: „მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს ასეთი კანონები, რადგან ექსპლოატაციაზე დამყარებულ კაპიტალისტურ საელმწიფოებში არ შეიძლება იყოს ისეთი კანონები, რომლებიც ახალისებენ მუშათა, გლეხთა, ინტელიგენტ-ტექნიკურ მუშაკთა და მეცნიერებისა და ხელოვნების ადამიანთა შრომას. ეს შესაძლებელია მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, სოციალიზმის ქვეყანაში, სადაც ჩვენ ხელმძღვანელობას გვიწევს ლენინ-სტალინის დიადი პარტია. ჩვენს ქვეყანაში შრომა ღირსების საქმეს, სახელის საქმეს, მამაცობისა და გმირობის საქმეს წარმოადგენს“.

○

ძერჟინსკის სახელობის ტრიოხგორნის მანუფაქტურის ყველა საამქროში (მოსკოვი) სასადილო შესვენების დროს მოეწყო კითხვა გაზეთებისა, რომლებშიც გამოქვეყნებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი.

○

ლენინგრადის კარლ მარქსის სახელობის ქარხნის თუჯის ჩამომსხმელი საამქროს უფროსის თანაშემწემ, ორდენოსანმა, რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ა. სერგეევმა გამაცაცადა: „ლენინ-სტალინის პარტიამ შესანიშნავი ადამიანები გაზარდა, აღზარდა მათში ვაჟკაცობა, მამაცობა, გმირობა. ბრძანებულებანი კიდევ უფრო აღაფრთოვანებენ მშრომელებს სოციალისტური სახალხო მეურნეობის გაძლიერებისა და შემდგომი აღმავლობისათვის“.

○

„სტალინოუგოლის“ (დონბასი) № 17-17 „ბის“ შახტის საამწეო მანქანის მემანქანე, უსსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სობჩენკო სწერს:—ჩვენი სამშობლოს ასობით და ათასობით პატრიოტებმა საბჭოთა კავშირის ეკონომიური სიმძლავრის განმტკიცებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული გმირობა გამოიჩინეს და იჩენენ შრომის ფრონტზე. წარჩინების უმაღლესი ხარისხის დაწესება და მიღწევის შემოღება ახალ სტიმულად გადაიქცევა მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი და კიდევ უფრო სწრაფი აღმავლობისათვის. მილიონობით მშრომელები ცხადჰყოფენ შრომითი მამაცობის ახალ ნიმუშებს.

○

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გუბკინი, ლაპარაკობს რა იმ სიხარულსა და აღფრთოვანებაზე, რომლითაც საბჭოთა ხალხი მთავრობის ბრძანებულებებს ჰხვდება, აცხადებს: — მეცნიერების მუშაკები გაამრავლებენ სოციალისტური სახელმწიფოს წარმატებებს და შემდგომ მძლავრ ბიძგს მისცემენ ნოვატორობას მეცნიერებასა და ტექნიკაში. ჩვენ, სწავლულნი უდიდესი მუშაობითა და გამოგონებებით განვამტკიცებთ თავდაცვისუნარიანობას, ხელს შეეწყობით მშრომელი მასების კეთილდღეობის შემდგომ ზრდას ტექნიკისა და კულტურის განვითარებას, ჩვენ ვუჩვენებთ ყველას შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების მაგალითებს.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პროპაგანდისტთა კურსების მსმენელთა გამოშვება

გუშინ, საღამოს, მოხდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პროპაგანდისტთა 4-თვიანი კურსების მსმენელთა საზეიმო გამოშვება.

საზეიმო სხდომაზე პროპაგანდისტთა კურსების მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პროპაგანდისტთა 4-თვიანი კურსების დირექტორმა ამხ. ს. ლარცულიანმა.

პროპაგანდისტთა 4-თვიანი კურსები დაამთავრეს საქ. კ. პ. (ბ) რაიკომთა პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეებმა, რაიკომთა პარტკაბინეტების გამგეებმა და რაიკომთა ინსტრუქტორ-პროპაგანდისტებმა, სულ 270 კაცმა.

მსმენელთა უმრავლესობამ, დაახლებით 150 კაცმა, პროპაგანდისტთა კურსები დაამთავრა „ფრიადზე“ და „კარგზე“.

საზეიმო სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ ფრიადოსანი კურსდამთავრებულები ამხ. დ. ქობალია (ჩხოროწყუ), ვ. ბაქენოვი (სოხუმი) და ოგანეზოვი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ სამუშაო ადგილებზე დაბრუნებისთანავე ისინი ბოლშევიკურად შეუდგებიან სტალინური ცენტრალური კომიტეტის 14 ნოემბრის ისტორიული დადგენილების განუხრელად განხორციელებას.

დასასრულ, საზეიმო სხდომაზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. ი. თაბაძე, რომელმაც თავის სიტყვაში კურსდამთავრებული ამხანაგების წინაშე დასახა კონკრეტული ამოცანები, თუ როგორ უნდა დაეხმარონ ისინი ადგილობრივ პარტორგანიზაციებს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 ნოემბრის ისტორიული დადგენილების საფუძველზე ჩვენი კადრების ბოლშევიზმის მოძღვრებით შეიარაღების საქმეში.

დავალება ვადაზე ადრე შესრულდა

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებულ სასწავლო-საწარმოო კომბინატს წელს უნდა გამოეშვა 3.779.700 მანეთის ფართო მოხმარების საგნები. კომბინატმა ეს დავალება 11 თვეში შეასრულა—ქვეყანას მისცა მაღალხარისხოვანი ტრიკოტაჟის ნაწარმი, ფეხსაცმელები, მზა ტანსაცმელი და სხვ.

დეკემბერში კომბინატმა მიიღო აგრეთვე წინდების საქსოვი სამი მანქანა, რომლებიც პირველ პროდუქციას მოგვცემენ 1939 წლის პირველი იანვრიდან.

ვ. იმედაძე

ქართველ-სომეხთა კულტურული თანამშრომლობის წარსულიდან

(ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი ქართველ-სომეხთა მეგობრობაზე)

ქართველი და სომეხი ხალხის მეგობრობას ისტორიული საფუძველი აქვს: მრავალი საუკუნის განმავლობაში ეს ორი ერი მომძე ერი გვერდში დგებენ ერთმანეთს ლხინში და გაჭირვებაში, მხარმხარ ებრძოდნენ გარეშე მტერს თავისი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. მათი მეგობრობა-თანამშრომლობა გრძელდებოდა მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეშიაც, თუმცა ამ ძმობას და ერთობას ბევრი მტერი ჰყავდა ორივე ქვეყანაში ყველა ჯურის ნაციონალისტურ - შოვინისტური ელემენტების სახით. ხალხის ეს ვერაგი მტრები იყენებენ იმ ომის ორგანიზატორები, რომელსაც ადგილი ჰქონდა მენშევიკთა და დაშნაკთა სამარცხვინო ბატონობის დროს. ქართველ და სომეხ ხალხებს არ უნდოდათ ეს ომი. ეს ორივე ხალხი, მათი პროგრესული, მოწინავე წარმომადგენლები, მათი ღირსეული შვილები მუდამ ებრძოდნენ მეგობრობის, ძმობის, თანამშრომლობის მოტრფიალენი იყვნენ.

ქართველი ხალხის დიდებულ შვილს—ილია ჭავჭავაძეს კარგად ესმოდა ღრმა ისტორიული ფესვები ქართველ-სომეხთა მეგობრობისა, ამ მეგობრობის დიდი მნიშვნელობა, მისი აუცილებლობა და საჭიროება. ადამიანი, რომელიც ოდესღაც ოცნებობდა, რომ კავკასიას ყველა ერნი „ეხლა გაყრილნი, ერთ დღინარედ შეერთდებიან, ერთი აზრით, ერთი ფიქრით განმდიდრდებიან“ („აჩრდილი“), რომელიც თავისი სამშობლოს თავდადებული პატრიოტი იყო, იმავე დროს ღრმა პატივისცემითა და მოწიწებით ეპყრობოდა სხვა ერს, მის სახელსა და დიდებას, მის ღვაწლმოსილებას და კეთილდღეობას.

ილია არკვევდა ქართველ-სომხების ისტორიულ თანამშრომლობას. იგი სწერდა: „ჩვენ კარგათ ვიცით, რომ წინანდელ საქართველოს უძლურება დაიწყო იმ უბედურ დღიდან, როცა კი პირქვე დაემხო სომხეთი—ეგ ჩვენი წინანდელი ზღუდე სამხრეთით. ჩვენ ჩრდილოეთით ვინახავდით სომხეთს, და სომხები ჩვენ გვინახავდნენ სამხრეთით“ („ჭაბუა ღაღადი“ გვ. 200) და შემდეგ „დაეცა სომხეთი და სამხრეთის კარი ღია დარჩა საქართველოში შემოსასვლელად. მთელი ჩვენი ისტორიული ღონე მოვლილეთ და შევალიეთ სამხრეთ კარის დაკეტას და ვერა გავაწყვეთ-რა“.

ერთერთ თავის წერილში ი. ჭავჭავაძე მოგვითხრობს, რომ შორსმჭვრეტელი, ჭკვიანი დავით აღმაშენებელი ბევრს ცდილობდა საქართველოს და სომხეთის მჭიდროდ დაკავშირებას პოლიტიკურად და კულტურულად — გარეშე მტრის წინააღმდეგ. ის ცდილობდა შეექმნა მაგარი მთლიანი ფრონტი დაუძინებელი ისტორიული მტრების წინააღმდეგ, მაგრამ ეს ცდა მას რეაქციულმა და ფანატიკურმა სამღვდელოებამ ჩაუშალა.

ილია აღნიშნავს, რომ „საქართველოს უდიდეს მეფეებსა და სახელმწიფო მოღვაწეებს ესმოდათ სომხეთ-საქართველოს მჭიდრო დაკავშირების საჭიროება-აუცილებლობა“. ის მწუხარებით იგონებს, რომ ზოგ ქართველ არა შორსმჭვრეტელ მეფეებს არ ესმოდათ, თუ რამდენად საჭირო იყო საქართველოს და სომხეთის ურთიერთინტერესებისათვის მათი დაახლოვება, ერთმანეთის დახმარება გაჭირვებაში და რომ სომხეთის დამოუკიდებელი ეროვნული არსებობა საფრთხეში ჩავარდებოდა სომეხ-ქართველთა ძმობა-მეგობრობას და ქართველი ხალხის თავმოყვარეობას არასაკადრისად ეწყინებოდა, ილიამ აქაც კალამს ხელი მოჰკიდა, მაგრამ ნახეთ, როგორ სისათუთით, სიღრმენაზით, ტაქტიკითა და დაკვირვებით იქცევა ილია.

ილიამ იცის, რომ ეროვნული ურთიერთობის საკითხში მაქსიმალური სიფრთხილეა საჭირო, რომ ხალხთა მეგობრობა-მეზობლობას ოდნავი ზიანიც არ უნდა მიეყენოს. იგი სწერდა: „მინამ კალამს ხელში ავიღებდით ამ წერილის დასაწერათ, დიდხანს ჩაუფიქრდით ერთს ჩვენთვის დიდმნიშვნელოვანს გარემოებას, როგორ ჩამოგვართმევს წერილს მთელი ერი სომხებისა“ (გვ. 7). აქედან სჩანს, როგორ ძვირფასია ილია ჭავჭავაძისათვის ქართველი და სომეხი ერების კარგი ურთიერთობა, მტკიცე მეზობლობა, როგორ ერიდება ის ყველაფერს, რასაც ცოტად თუ ბევრად შეუძლია ეს ურთიერთობა გაართულოს, გაუგებრობა და შუღლი დასთესოს. როცა ილია ებრძვის სომეხ ნაციონალისტ-პუბლიცისტებს — ხუდაბაშოვებს, ჭიშმიშიებს, ეზოვებს, ის იქვე კატეგორიულად აცხადებს, რომ ამ ვაჟბატონებს საერთო არაფერი აქვთ სომეხ-ხალხთან, ისევე როგორც ამ უკანასკნელს თავის არამკითხე „მოამაგეებთან“, „ღმერთმა გვაშოროს იქ მთელი ერი ვიგულისხმოთ, საცა მარტო ერთგვარი გუნდია ცოდვილი“.

ილიას აზრით, ქართველ-სომეხთა ურთიერთობა დაყრდნობილი უნდა იყოს არა ურთიერთ ქიშპობაზე, შუღლზე და შურზე, არამედ სიყვარულზე და ურთიერთ პატივისცემაზე.

ქართველ-სომეხი ხალხის კეთილმეზობლობას, მეგობრობასა და თანამშრომლობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჩვენი წინაპრები ერთმანეთს ეხმარებოდნენ, ერთმანეთს ზურგს უმაგრებდნენ, ფარი იყვნენ ერთმანეთისათვის. ურთიერთი ძალების მიშველებით იცავდნენ თავისი ქვეყნის ეროვნულ დამოუკიდებლობას — ერთი მეორის ზურგი იყო. ქართველ-სომხების მჭიდრო ყავშირის,—პოლიტიკურ-კულტურულ და სხვა დარგში, — მნიშვნელობა კარგად შეითვისეს ჩვენმა წინაპრებმა. ასეთი სასიქადულო და სასიხარულო ტკბილი მეზობლობა ჰქონდა ამ ორ ერს მე-19 საუკუნეში.

ილია ჭავჭავაძის შეხედულება ამ ორი ხალხის ურთიერთობაზე სავსებით პროგრესული, მოწინავე შეხედულებაა. სხვაგვარი აზრი არ შეიძლებოდა ჰქონოდა ქართველი ხალხის ამ სასიქადულო და ღირსეულ შვილს.

რა აზრისა იყო ქართველ-სომეხთა ურთიერთობაზე ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე დიდი წარმომადგენელი აკაკი წერეთელი?

გაზეთ „დროებაში“ 1873-1874 წ. წ. მოთავსებულია ფრიად საინტერესო კორესპონდენციები ქუთაისიდან ქართულ-სომხური წარმოდგენის და ქართულ სცენაზე ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილის“ დადგმის შესახებ ქუთაისელი სომხების დახმარებით.

ეს კორესპონდენციები დაწერილია აღტაცებული კილოთი და მადლობის გრძნობითაა გამსჭვალული სომხების მიმართ. ორივე კორესპონდენცია ეკუთვნის აკაკი წერეთელს. ერთერთ კორესპონდენციაში სწერია: „დიდი ხანი არ არის რაც ქუთაისში გაჩნდნენ სომხები და, თუმცა მათი რიცხვი ძლიან მცირეა, მაგრამ ჩვენ გასაკეთებელ საქმეებს კი ხშირად ისინი აკეთებენ. მაგალითად წარმოდგენების შესახებ ვიტყვი, რომ ისინი ხშირად არდგენენ ხოლმე ქართულ ენაზე პიესებს“. („დროება“ № 450,1874 წ.).

1901 წ. გაზ. „ივერიაში“ (№ 124) დაიბეჭდა აკაკი წერეთლის ლექსი, მიძღვნილი გ. სუნდუკიანცისადმი. ლექსის სათაურია „მეგობარს“. იგი ასე იწყება:

გაურჩელად გვარტომობის,
ყველასათვის კეთილი მსურს,
ვინც კი კაცად კაცადია
და სიმართლით გული უხურს;
ერთობას და მასთან ძმობას
არაფერი მირჩევნია,
ამ კავშირის ორ-ძალობა
იმ თავითვე შემიგნია.

შემდეგ პოეტი ლაპარაკობს იმ ზოგ გაუგებრობაზე, რომელიც მაშინ არსებობდა ქართველ-სომხების ურთიერთობაში, რომელსაც ხელოვნურად აჩაღებდნენ ორივე ხალხის უბოროტესი მტრები. აკაკი ლექსს ამთავრებს მითითებით, რომ ერთმანეთის ეს გადაკიდება ორივეს წაახდენსო.

გავაცინებთ მხოლოდ მტერსა.
ჩვენ ვიყვირებთ: ვაი დიდას.
ის კი „მრავალ-ჟამიერსა“.

აკაკი წერეთელი კარგად ერკვეოდა, თუ ვინ უფათურებს ბინძურ ხელებს ქართველ-სომხების ურთიერთობის წმინდა საქმეში, ვისთვის არის ხელსაყრელი ამ ორი მოძმე ერის გადაკიდება, ვინ არის ამაში დაინტერესებული.

ქართველებისა და სომხების ურთიერთობას უძღვნა აკაკიმ თავისი „აღსარება“, რომელიც დაიბეჭდა გაზ. „თემში“ (1911 წ. 28 თებერვალი). აქ, სხვათა შორის, სწერია: ...„რაღა გასაკვირია, რომ სომხებიც, ეს ჩვენი ქრისტიანი მეზობლებიც, ჩვენთან ერთად ერთ ისტორიულ ტაფაში ნაწვავ-ნადაგი, მიყვარდეს და თანაუგრძნობდე“. შემდეგ აკაკი, ილიას მსგავსად, სძენის ისტორიულ დასაბუთებას და ფესვებს სომეხ-ქართველთა მეგობრობისას. „ჩვენ წინაპრებს ყოველთვის ძმური განწყობილება ჰქონიათ სომხებთან... არა ერთგზის მორწყულა სასომხეთის მიდამოები თავრებულები ამხ. დ. ქობალია (ჩხოროწყუ), ვ. ბაქენოვი (სოხუმი) და ოგანეზოვი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ სამუშაო ადგილებზე დაბრუნებისთანავე ისინი ბოლშევიკურად შეუდგებიან სტალინური ცენტრალური კომიტეტის 14 ნოემბრის ისტორიული დადგენილების განუხრელად განხორციელებას.

დასასრულ, საზეიმო სხდომაზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. ი. თაბაძე, რომელმაც თავის სიტყვაში კურსდამთავრებული ამხანაგების წინაშე დასახა კონკრეტული ამოცანები, თუ როგორ უნდა დაეხმარონ ისინი ადგილობრივ პარტორგანიზაციებს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 ნოემბრის ისტორიული დადგენილების საფუძველზე ჩვენი კადრების ბოლშევიზმის მოძღვრებით შეიარაღების საქმეში.

დავალება ვადაზე ადრე შესრულდა

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებულ სასწავლო-საწარმოო კომბინატს წელს უნდა გამოეშვა 3.779.700 მანეთის ფართო მოხმარების საგნები. კომბინატმა ეს დავალება 11 თვეში შეასრულა—ქვეყანას მისცა მაღალხარისხოვანი ტრიკოტაჟის ნაწარმი, ფეხსაცმელები, მზა ტანსაცმელი და სხვ.

დეკემბერში კომბინატმა მიიღო აგრეთვე წინდების საქსოვი სამი მანქანა, რომლებიც პირველ პროდუქციას მოგვცემენ 1939 წლის პირველი იანვრიდან.

ვ. იმედაძე

ქართველ-სომეხთა კულტურული თანამშრომლობის წარსულიდან

(ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი ქართველ-სომეხთა მეგობრობაზე)

ქართველი და სომეხი ხალხის მეგობრობას ისტორიული საფუძველი აქვს: მრავალი საუკუნის განმავლობაში ეს ორი ერი მომძე ერი გვერდში დგებენ ერთმანეთს ლხინში და გაჭირვებაში, მხარმხარ ებრძოდნენ გარეშე მტერს თავისი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. მათი მეგობრობა-თანამშრომლობა გრძელდებოდა მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეშიაც, თუმცა ამ ძმობას და ერთობას ბევრი მტერი ჰყავდა ორივე ქვეყანაში ყველა ჯურის ნაციონალისტურ - შოვინისტური ელემენტების სახით. ხალხის ეს ვერაგი მტრები იყენებენ იმ ომის ორგანიზატორები, რომელსაც ადგილი ჰქონდა მენშევიკთა და დაშნაკთა სამარცხვინო ბატონობის დროს. ქართველ და სომეხ ხალხებს არ უნდოდათ ეს ომი. ეს ორივე ხალხი, მათი პროგრესული, მოწინავე წარმომადგენლები, მათი ღირსეული შვილები მუდამ ებრძოდნენ მეგობრობის, ძმ

ახალ წელს კოლმეურნეობები წარმატებებით ხვდებიან





რაც გარკვეული „კომუნისტის“ მკითხველებმა იცნან, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების მზადების დღეებში მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობისა და სოფხეთის სსრ მოქალაქეთა რაიონის სოფ. პატარა-შაღრიარის III ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ორგანიზაციამ სწორად შეათვისა პარტიული და სამეურნეო საქმიანობა.

ამჟამად კოლმეურნეობის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში პარტიის 34 წევრი და პარტიის წევრობის კანდიდატია. აქედან 29 კაცი უშუალოდ საკოლმეურნეო ბრიგადებში ფიზიკურ მუშაობას ეწევა. ახლა კოლმეურნეობაში არცერთი ბრიგადა არ არის ისეთი, სადაც პარტიის წევრი ან კანდიდატი არ იყოს.

კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის პარტიული კომიტეტი ხშირად ისმენს ბრიგადირებისა და ბრიგადებში მომუშავე კომუნისტების ანგარიშებს სტახანოველთა შორის მუშაობის, კომუნისტთა ავანგარდული როლის ზრდისა და სხვა საკითხებს. უსახავს მათ საჭირო პრაქტიკულ ღონისძიებებს და ეხმარება ამ ღონისძიებათა გატარებაში.

პარტიის წევრები და კანდიდატები ახლა აქ არა მარტო თვითონ მუშაობენ კარგად, არამედ ამასთან ერთად სხვებსაც ეხმარებიან და პირად მაგალითებზე ზრდიან მათ. მე-14 ბრიგადამ, რომლის ბრიგადირად პარტიის წევრობის კანდიდატი ამხ. გრ. ტუღუში მუშაობს, წელს ჰექტარზე საშუალოდ 3,704 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოიყვანა. ამ ბრიგადაში სულ 37 კაცი მუშაობს, მათგან 23 სტახანოველია, ხოლო დანარჩენი — დამკვრელები. ბრიგადირმა დ. ნაკაიძემ, რომელიც პარტიის წევრობის კანდიდატად ახლახან მიიღეს, ციტრუსების მყნობის დღიური ნორმას 8-ჯერ და კიდევ მეტად გადააჭარბა. მის ბრიგადაში სანიმუშოდ არის მოვლილი ციტრუსების, ევკალიპტის, ტუნგოს და სხვა ძვირფას მცენარეთა ნერგები.

მუშაობაში დიდად გვეხმარება საბრიგადო საველე კედლის გაზეთები, რომლებიც ათდღიურად ყველა 17 ბრიგადაში გამოდის. ეს გაზეთები სისტემატურად აშუქებენ სტახანოველთა დადებითის გამოცდილებას, აკრკავებენ ჩამორჩენის მიზეზებს, იძლევიან საყურადღებო სიგნალებს. პარტიული კომიტეტი სისტემატურად ისმენს კედლის გაზეთების რედკოლეგიების ანგარიშებს და პრაქტიკულ დახმარებას უწევს მათ მუშაობის უკეთ დაყენებაში.

ჩვენი კოლმეურნეობის წევრებში განსაკუთრებით დიდი საწარმოო და პოლიტიკური აქტივობა გამოიწვია საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის გამოსვლამ. უკიდურესად თვალსაჩინოდ გაიზარდა მოთხოვნილება ჟურნალ-გაზეთებზე, პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურაზე. კოლმეურნეები მასობრივად იძენენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“. მოწინავე კოლმეურნეები ალ. ბაქრაძე, გერონტი ჩაველეიშვილი, აგრაფინა ჩხარტიშვილი, ვასო ნაკაიძე და სხვები უკვე შეუდგნენ მის ინდივიდუალურად შესწავლას.

უკიდურესად კოლმეურნეობაში თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა კულტმასობრივი მუშაობა. მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს. თვითმომქმედი წრეები ჯერაც ვერ მუშაობენ ისე, როგორც საჭიროა, განსაკუთრებით ეს ითქმის ლიტერატურულ და საშადრაკო წრეებზე. მაგრამ ამ ნაკლსაც მალე გამოვასწორებთ.

წელს სოფ. ნატანების კოლმეურნეობის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ თავის რიგებში კანდიდატად მიიღო 18 მოწინავე კოლმეურნე, ხოლო წევრად — 3. ახალმიღებულთა პოლიტიკური აღზრდის ამოცანა ჩვენგან მეტ მუშაობას მოითხოვს. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა კი უთუოდ უზრუნველჰყოფს კოლმეურნეობის 1939 წლის ყველა სანის გეგმების სასახელოდ შესრულებას.

ვ. ყალიჩავა

მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის პარტკომის მდივანი.

წარმატებები, ახალი ვალდებულებანი

მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების პერიოდში ჩვენი კოლმეურნეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება მოძმე სომხეთის რესპუბლიკის ჰოქტემბერიანის რაიონის, სოფ. პატარა-შაორიარის III ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობასთან. ამ შეჯიბრებამ გამოიწვია კოლმეურნეთა მასებში შრომითი ენტუზიაზმის არაჩვეულებრივი აღმავლობა, რის შედეგად ჩვენ წარმატებით დავამთავრეთ მომდინარე სამეურნეო წელი.

ჩვენ თავდაჯერებულ სერიოზულ ყურადღებას ვაქცევდით და ვაქცევთ ჩაისა და ციტრუსების პლანტაციების წესიერად მოვლა-დამუშავებას, 1938 წლის ზამთარში და გაზაფხულზე ამ მხრივ დიდი მუშაობა ჩავატარეთ. პლანტაციებში შევიტანეთ 500 ტონა მინერალური და 2.000 ტონაზე მეტი ორგანული სასუქი, თავის დროზე შევბარეთ ყველა პლანტაცია, გავიყვანეთ მათში სადრენაჟო არხები, შევაკეთეთ არსებული არხები და სხვ. ყველა ეს სამუშაო წინა წელთან შედარებით 10 დღით ადრე, ხოლო ცალკეულ ბრიგადებში 20-22 დღით ადრე დამთავრდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი მოსავლიანობის ვადიდებას.

საკოლმეურნეო პლანტაციებზე ჩაის კრეფის სახელმწიფო გეგმა წელს 120,9 პროცენტით შევასრულეთ. მარტო ჩაის ფოთლის ფასად ჩვენმა კოლმეურნეობამ 1.037.995 მანეთი მიიღო — 332.147 მანეთით მეტი, ვიდრე 1937 წელს. წელს ჰექტარზე საშუალოდ 3.000 კილოგრამამდე ჩაის ფოთოლი მივიღეთ, კერძოდ, გრიგოლ ხურციძის ბრიგადამ ჰექტარზე საშუალოდ 5.580 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოიყვანა.

1938 წელს ჰექტარზე კოლმეურნეობაში მივიღეთ საშუალოდ 15 ცენტნერი სიმინდი; მეორე, მერვე და მეთერთმეტე ბრიგადებმა კი სიმინდის მოსავლიანობა 17 ცენტნერამდე ვაადიდეს.

ჩვენი კოლმეურნეობის შემოსავალი 1930 წელს 99.765 მანეთს უდრიდა, 1937 წელს მან 1.400 ათას მანეთს მიაღწია, წელს კი ჩვენ მარტო ფულადი შემოსავალი მივიღეთ 1.958.900 მანეთი.

თვალსაჩინოდ იზრდება კოლმეურნეთა შემოსავალი, კოლმეურნე იოსებ ხურციძის ოჯახმა 1938 წელს გამოიმუშავა 1.631,7 შრომადღე და მიიღო კოლმეურნეობიდან მარტო ფულად 17.301 მანეთი, აგრეთვე 234 ფუთზე მეტი სიმინდი. ასევე დიდი შემოსავალი მიიღეს ყარამან მიმინოშვილის, დათიკო ნაკაიძის, ვარლამ ბაბილოძის, მელიტონ ჯაბუას, გიორგი ჯორგიაძის, მიხაკო წითლიძის, კალენიკე ბოლქვაძის, გიორგი ტუღუშის, აკაკი ნაკაიძის და სხვათა ოჯახებმა.

1938 წელს ოდა სახლი ააგო 18 კოლმეურნემ, პატეფონები შეიძინა 46 კოლმეურნემ, ველოსიპედი—6 კოლმეურნემ. მარტო 1938 წელს კოლმეურნეებმა შეიძინეს 84 ნიკელის ტახტი, 300-ზე მეტი ვენური სკამი, 15 შიფონერი, 36 საკერავი მანქანა და სხვა საოჯახო ნივთები.

პატარა-შაორიარის კოლმეურნეობასთან შეჯიბრების შედეგად გაიზარდა სტახანოველთა რიცხვი და მათი მუშაობის მაჩვენებლები. 1937 წელს ჩვენი კოლმეურნეობა 100 სტახანოველს ითვლიდა, წელს კი სტახანოველთა რიცხვმა 237-ს მიაღწია.

1938 წელს ავაგეთ საბავშვო ბაგის ახალი შენობა, ერთი გარაჟი ავტომანქანებისათვის, 2 ბოსელი პროდუქტიული მესაქონლეობის ფერმისათვის, 1939 წელს კი ვფიქრობთ ავაგოთ: საბავშვო ბაღის შენობა, აბანო, თავლა, 2 ბოსელი მუშა-პირუტყვისათვის, დავდგათ ხმოვანი კინო-აპარატი და სხვ.

ჩვენმა კოლმეურნეობამ, შეაჯამა რა 1938 წლის მუშაობის შედეგები, გადასწყვიტა გააჯერებულის სოციალისტური შეჯიბრება მოძმე სომხეთის რესპუბლიკის პატარა-შაორიარის III ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობასთან.

ჩვენ, ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრები, პირობას ვდებულებთ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების ურყევად გატარებით, ისე როგორც წარსულში, 1939 წელსაც სასახელოდ შევასრულოთ ჩვენ მიერ ნაკისრი ვალდებულებანი და მივიღოთ გაცილებით მეტი მოსავალი და შემოსავალი.

ვ. ჯაბუა

სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

როგორ მივაღწიეთ გამარჯვებას

ყოველწლიურად იზრდება ჩვენი კოლმეურნეობის და კოლმეურნეთა შემოსავალი, საკოლმეურნეო შრომის ხვავი და ბარაქა. პატარა-შაორიაროის კოლმეურნეობის წევრებს გული სიამით აგვევსო, როცა შევაჯამეთ მიმდინარე წლის შემოსავალი. პატარა-შაორიაროის კოლმეურნეობა უკვე ჩადგა მილიონერ კოლმეურნეობათა რიცხვში. შარშან ჩვენი კოლმეურნეობის შემოსავალი 790.000 მანეთს შეადგენდა. წელს კი 1.060.000 მანეთს უდრის. აქედან მარტო ბამბის კულტურით 907 ათასი მანეთი მივიღეთ.

ეს წარმატება მოვიპოვეთ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების ურყევად გატარებით, სტახანოვური მოძრაობისა და სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად. წელს პატარა-შაორიაროის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება მოძმე საქართველოს სს რესპუბლიკის მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობასთან. იმ საქმიანმა მიწერ-მოწერამ, რომელიც გაზეთ „კომუნისტის“ და „ხორურდაინ ჰაიასტანის“ საშუალებით გაჩაღდა ნატანებელ და შაორიარელ კოლმეურნეთა შორის კიდევ უფრო დაგვაინტერესა უხვი მოსავლის მიღებისათვის. სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შედეგად პატარა-შაორიაროის და ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობებმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს.

ჩვენმა კოლმეურნეობამ წელს ჰექტარზე საშუალოდ 20 ცენტნერი ბამბა მიიღო, სახელმწიფოს ჩავაბარეთ 2.640 ცენტნერი ბამბა, სახელმწიფო ვალდებულებანი დაწესებულ ვადაზე ერთი თვით ადრე შევასრულეთ. ჰექტარზე საშუალოდ მივიღეთ 85 ცენტნერი ყურძენი, 20,5 ცენტნერი პორბლეული და 75 ცენტნერი იონჯა. გეგმით ბამბა უნდა მიგველო 12,5 ცენტნერი, ყურძენი 25 ცენტნერი, ხორბლეული 14 ცენტნერი და იონჯა 40 ცენტნერი.

ჩვენ მტკიცედ გავატარეთ ცხოვრებაში აგროტექნიკური ღონისძიებანი. კერძოდ, 1938 წელს ბამბისათვის სამჯერ, ზოგ ნაკვეთებში ოთხჯერ მოვხვნით და დავამუშავეთ ნიადაგი, აღსანიშნავია, რომ პატარა-შაორიაროის კოლმეურნეობამ ბამბისათვის ნიადაგის მოხვნა დაწესებულ ვადაზე 10 დღით ადრე დაამთავრა. თესლი საუკეთესო შევარჩიეთ, ბამბის თესვა ვადაზე 5 დღით ადრე დავამთავრეთ.

ბამბის თესვაში ბრიგადირებს შორის ყველაზე უფრო ისახელეს თავი მეექვსე და მესამე ბრიგადებმა რუბენ დანელიანისა და ანდრანიკ კოსტანიანის ხელმძღვანელობით.

პატარა-შაორიაროის და ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობათა შორის 1939 წელს გრძელდება სოციალისტური შეჯიბრება. ეს გვავალებს კიდევ უკეთესად ვიმუშაოთ და 1939 წელს უფრო მაღლა ავიწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა საკოლმეურნეო მინდვრებზე. ეს ამოცანა ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული.

ამჟამად ჩვენი მუშაობა წარმართულია იქითკენ, რომ დროულად დავამთავროთ საკოლმეურნეო ჭრების ინვენტარიზაცია, სწორად და მაღალხარისხოვნად შეავდგინოთ კოლმეურნეობის 1939 წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა, სწორად გავანაწილოთ საკოლმეურნეო შემოსავალი.

1938 სამეურნეო წელი ჩვენ სასახელოდ დავამთავრეთ. მაღალი შემოსავლით და უხვი მოსავლით ვხვდებით ახალ წელს.

ენერგიულად გავშალეთ წინასწარი სამზადისი სავაზაფხულო თესვისათვის. მუშა-პირუტყვისათვის მომარაგებული გვაქვს საკვები. მუშა-პირუტყვის მოვლა საიმედო კოლმეურნეთა ხელშია, დაჯავშნული გვაქვს სათესლე მასალა და ძას საიმედოდ ვუვლით.

კოლმეურნეულ სიტყვას ვიძლევით, რომ ნატანებელ კოლმეურნეთა შეჯიბრებაში კიდევ უფრო თვალსაჩინო წარმატებებს მივაღწევთ. სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების—საკოლმეურნეო ცხოვრების ამ უმაღლესი კანონის ურყევად გატარებით, სტახანოველთა და დამკვრელთა რიგების კიდევ უფრო ზრდით და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვით ჩვენ ამას სასახელოდ შევასრულებთ.

ი. ავჩიანი

სომხეთის სსრ სოფ. პატარა-შაორიარის III ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

პირველობას არ დავთმობთ

წელს ჩვენმა ორმა კოლმეურნეობამ სოციალისტური შეჯიბრების საშუალებით დიდ წარმატებებს მიაღწია. ჩვენ ვიყავით საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობაში, რომელთანაც შეჯიბრებაში ვიმყოფებით. იქაური კოლმეურნეებიც იყვნენ ჩვენთან. დაწვრილებით გავეცანით ერთმანეთის მუშაობას და იმ მიღწევებს, რაც საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში მოვიპოვეთ.

1938 წელს ჩვენი კოლმეურნეობის მესამე ბრიგადასაც დიდი მიღწევები ჰქონდა ბამბის, ყურძნის და მარცვლეული კულტურების მოსავლის გადიდების საქმეში. ჩემმა ბრიგადამ (მესამე) ჯერ კიდევ 1938 წლის დასაწყისში დაკისრებული ვალდებულება — 36 ჰექტარზე ბამბის დათესვისა — წარმატებით შეასრულა. ჩვენ ეს ფართობი დავამუშავეთ აგროწესების მტკიცედ დაცვით — თესვის დაწყებამდე გავასუფთავეთ ბალახისაგან, თესვის წინ რამდენჯერმე ჩავატარეთ ქიმიური და ადგილობრივი სასუქებით ნიადაგის განოყიერება. ნათესების განვითარების შემდეგ კი დაახლოებით 9-ჯერ მოვრწყეთ, თავის დროზე გავთოხნეთ, გავაფხვიერეთ და ავადმყოფობის საწინააღმდეგოდ რამდენჯერმე შხამებით შევწამლეთ მცენარეები.

ასევე ვზრუნავდით ყურძნის, მარცვლეულისა და სხვა კულტურებისთვისაც.

ჩვენ წარმატებით ვიბრძვით შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისათვის. მტკიცედ შევასრულეთ ნატანებელებისთვის მიცემული სიტყვა — 1938 წელი გადავაქციეთ მაღალი მოსავლიანობის წელიწადად.

1938 წლის დაწყებიდან, გავშალეთ რა შეჯიბრება ბრიგადის ყველა ჯგუფში და კოლმეურნეთა შორის, მალე გვიჭირავს სოციალისტური შეჯიბრების დროშა. სწორედ ამის შედეგია, რომ ბამბა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12,2 ცენტნერისა, საშუალოდ ჰექტარზე, დღემდე უკვე მივიღეთ 18 ცენტნერზე მეტი და სიტყვას ვიძლევით ავიყვანოთ იგი 20 ცენტნერამდე.

ჩემი ბრიგადის სტახანოველ კოლმეურნეს მაშელ სარდარიანს დღემდე გამომუშავებული აქვს 340 შრომადღე, მაშო აზოიანს — 210, ვარდო ფარსიანს — 130, როზა დრბიანს — 205, ფარანძემ გრიგორიანს — 225 და სხვ. ეს სტახანოველები დღეში, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 40 კილოგრამისა, 100 კილოგრამზე მეტ ბამბას ჰკრეფენ.

ჩვენ ადგილზე გაცნობამდეც დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენთან შეჯიბრებაში მყოფი ნატანების კოლმეურნეობა ძლიერი კოლმეურნეობაა და ეს კიდევ უფრო მეტად გვავალებდა პირნათლად გამოვსულიყავით ამ შეჯიბრებაში. ამიტომ იყო, რომ ვცდილობდით მთლიანად და წარმატებით შეგვესრულებინა ჩვენზე დაკისრებული მოვალეობა. ასედაც მოხდა — ორივე კოლმეურნეობისა და მათ შორის ჩემი ბრიგადის წარმატებაც ფაქტია. მაგრამ იმ მიზნით, რომ 1939 წელს უფრო მეტ წარმატებებს მივაღწიოთ, ჩვენი კოლმეურნეობა ხელახლა სდებს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას სოფელ ნატანების კოლმეურნეობასთან.

ასევე სდებს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას მესამე ბრიგადაც ნატანების კოლმეურნეობის მე-14 ბრიგადასთან, რომელსაც გრიშა ტუღუში ხელმძღვანელობს.

ჩემი ბრიგადა კისრულობს:

1939 წელს ბამბის თესვისა და დამუშავების გეგმები შევასრულოთ მაღალხარისხოვნად, მთლიანად განვახორციელოთ აგროწესები და ამ კულტურის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე ავიყვანოთ 26 ცენტნერამდე. ხორბალი საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 20 ცენტნერი.

ბრიგადაში და ჯგუფებში მოვაწყოთ პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა სისტემატური კითხვა,—გავაცნოთ ისინი თვითეულ წევრს, ყოველთვის თავის დროზე გამოვუშვათ საბრიგადო კედლის გაზეთები და მათში გავაშუქოთ აღებულ ვალდებულებათა შესრულება, სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა.

ანდრანიკ კოსტანიანი

პატარა-შაორიარის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის მესამე ბრიგადის ბრიგადირი.

მაშო აზოიანი, მანველ სარდარიანი

(ბრიგადის წევრები)

სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი ყარამან მიმინოშვილი და მისი ცოლი დონე საკარმიდამო ნაკვეთზე ჰკრეფენ ლიმონს.

ფოტო რ. აკოფოვისა

სოფ. პატარა-შაორიარის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი ამხ. ა. ავჩიანი, რომელიც დღეში 70-80 კილოგრამ ბამბას ჰკრეფს. წელს მან 20 დეკემბრამდე 250 შრომადღე გამოიმუშავა.

ფოტო ი. იმედაძისა

17301 მანეთი შრომადღეებზე

სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრის იოსებ ხურციძის ოჯახი 9 სულისაგან შესდგება, აქედან ოთხი შრომისუნარიანია და კოლმეურნეობაში მუშაობს. შარშან ი. ხურციძის ოჯახმა 1475,8 შრომადღე გამოიმუშავა და კოლმეურნეობიდან ფულად მიიღო 12248 მან. 35 კაპ., წელს კი 1631,7 შრომადღეზე მას 17.301 მანეთი ხვდა.

იოსებ ხურციძემ წელს 327,7 შრომადღე გამოიმუშავა, მისმა შვილმა ბენიამ—654, სამსონმა—155.6, ხოლო უმცროსმა ქალიშვილმა ლიუდამ, რომელიც მთელს კოლმეურნეობაში ჩაის კრეფის მოწინავე სტახანოველად ითვლება, გამოიმუშავა 494,4 შრომადღე.

გარდა ამისა, იოსებ ხურციძის ოჯახმა წელს კოლმეურნეობიდან შრომადღეებზე მიიღო 234 ფუთი სიმინდი. ამაში, რა თქმა უნდა, არ შედის საკარმიდამო მეურნეობიდან მიღებული ფულადი და ნატურალური შემოსავალი.

მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი კოლმეურნის ყარამან მიმინოშვილის ახლადაგებული სახლი.

ფოტო რ. აკოფოვისა

შრომა სახალისო გახდა

ღია ფხაკილი

სოფ. პატარა-შაღრიარის კოლმეურნეობის სტახანოველს ამხ. მანველ სარდარიანს

ამასწინათ ჩვენი კოლმეურნეობის წევრთა დელეგაცია სტუმრად იყო თქვენს კოლმეურნეობაში. დელეგაციაში შეღიოდა ჩემი შვილი დათიკოც, რომელმაც დაბრუნებისას დაწერილებით მელაპარაკა თქვენი შეძლებული ცხოვრების შესახებ, რამაც დიდად გამახარა.

მე უკვე 65 წლისა ვარ. ამ ამბებით დიდ სიხარულს განვიცდი. ცხოვრება მართლაც საამური და სასიხარულოა, შრომა სახალისო გახდა.

ჩემი შვილი დათიკო ბრიგადირად მუშაობს, მან წელს ციტრუსების მყნობაში რეკორდი დაამყარა და მთელ საქართველოში სახელი გაითქვა.

წინათ დღედაღამ ვმრომობდი, ვცხოვრობდი ჭვარტლიან ფიცრულ სახლში, დღედაღამ ოფლში ვიწურებოდი, მაგრამ ჩემ ცოლშვილს მჭადი და ტარანი ენატრებოდა. ნამდვილი ადამიანური ცხოვრება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვიგრძენი. საკოლმეურნეო შრომის შედეგად წელში გავიმართე.

წელს ჩემი ოჯახის მარტო ფულადმა შემოსავალმა კოლმეურნეობიდან და საკარმიდამო მეურნეობიდან 25 ათას მანეთს მიაღწია. უხვად მივიღე აგრეთვე სხვადასხვა პროდუქტებიც.

ჩვენმა კოლმეურნეობამ გადასწყვიტა 1939 წლისათვის განაახლოს სოცშეჯიბრება თქვენს კოლმეურნეობასთან, ჩვენ უკვე ავიღეთ კონკრეტული ვალდებულებანი და შევუდექით მათს შესრულებას.

ამხანაგო მანველ, ჩვენი კოლმეურნეები კარგად ვიცნობთ თქვენ, როგორც პატარა-შაორიარის მოწინავე სტახანოველს, გვაინტერესებს ვიცოდეთ, თუ როგორია თქვენი და თქვენი ოჯახის წლეულინდელი საკოლმეურნეო შემოსავალი. ძალიან კარგი იქნება, თუ მოგვწერთ ამის შესახებ.

სამსონ ნაკაიძე

ნატანების ლ. ბერიას სახ. კოლმეურნეობის სტახანოველი.

შაღრიარელი მოწინავენი

სოფ. პატარა-შაღრიარის კოლმეურნეობის წევრებმა 1938 წელს სამაგალითო მარცვლებლებს მიაღწიეს. მათ პირნათლად შეასრულეს სოცშეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. მიმდინარე წელს კოლმეურნეობაში გაიხარდნენ ახალი ადამიანები, რომლებმაც შრომის ნაყოფიერების მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს. 1937 წელს კოლმეურნეობაში 36 სტახანოველი იყო, 1938 წელს ეს რიცხვი 70-მდე ავიდა. აქ აღარ არის ისეთი კოლმეურნე, რომელიც გეგმას გადაჭარბებით არ ასრულებდეს.

აი ამ კოლმეურნეობის საამაყო ადამიანები: რაჰილ ოვანიანი. იგი 1937 წელს დღეში 30-40 კილოგრამ ბამბას ჰკრეფდა, წელს ოვანიანი კარგად დაეუფლა ბამბის კრეფის ტექნიკას. პირველ ხანებში უხეშელდებოდა ორივე ხელით კრეფა, მაგრამ სულ მალე შეეჩვია და დღეში 90-100 კილოგრამს ჰკრეფდა. უკანასკნელ ხანებში კი მან 120-130 კილოგრამი მოჰკრიფა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 30-40 კილოგრამისა.

რაჰილი ყოველ საღამოს ესაუბრებოდა კოლმეურნე ქალებს თავის წარმატებებზე. რაჰილმა სულ მალე გადასცა თავისი გამოცდილება სირუშ ოვანესიანს და ანა მელქონიანს. თავის მხრით მათ თავიანთი გამოცდილებანი გადასცეს როზა დრამპიანს, სათიკ აკოფიანს, აღვანიკ დავთიანს და სხვებს. ამ კოლმეურნეობაში ახლა მრავლად არიან ისეთი კოლმეურნე სტახანოველი ქალები, რომლებიც დღეში 60-80 კილოგრამ ბამბას ჰკრეფენ.

ბაღდასარ ვართანიანმა გამოიმუშავა 730 შრომადღე, ეგზარ მიკირტიჩიანმა — 715, აღვანიკ დავთიანმა — 695. იშვიათია ისეთი ოჯახი, რომელსაც 500 შრომადღეზე ნაკლები ჰქონდეს გამომუშავებული.

წელს საახალწლოდ შაორიაველმა კოლმეურნეებმა 250.560 მანეთის კულტურული და საოჯახო ნივთები შეიძინეს. პატარა-შაორიაროის მოწინავე ადამიანები ყოველდღე ახალ გამარჯვებებს აღწევენ. ისინი შეძლებულად და საამურად ცხოვრობენ.

შ. ფურცხვანიძე

სოფელი მშვენიერდება

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიცვალა ჩვენი სოფლის შინაარსი და სახე. შეუძლებელია შევადაროთ ახალი შაორიარი ძველს. ჩვენი საკოლმეურნეო სოფელი ყოველწლიურად ძლიერდება და მშვენიერდება.

1937-38 წლებში კოლმეურნეობამ ააგო თავლა 80 ცხენისათვის, კოლმეურნეობის კანტორა, სკოლის ორსართულიანი შენობა, სამი სათბური გერანისათვის და სხვ.

შედგენილია პატარა-შაორიარის კოლმეურნეობის კეთილმოწყობის გეგმა 1939 წლისათვის. ამ გეგმის მიხედვით ფართოვდება ქუჩები, შენდება ბაღნარები. ერთერთ ლამაზსა და ფართო ქუჩას ჩვენ განზრახული გვაქვს ვუწოდოთ სოფ. ნატანების სახელობის ქუჩა.

რ. დრამპიანი

სტახანოველი კოლმეურნე.

სოფ. პატარა-შაორიარის მოსწავლე გოგონები ახლადაგებული სკოლის წინ.

ფოტო ი. იმედაძისა.

Ленинградцы — участники Всесоюзной сельскохозяйственной выставки

(Из писем в адрес Центрального павильона Ленинградской области)

Ленинградцы — участники Всесоюзной сельскохозяйственной выставки

(Из писем в адрес Центрального павильона Ленинградской области)

Ленинградцы — участники Всесоюзной сельскохозяйственной выставки

(Из писем в адрес Центрального павильона Ленинградской области)

Ленинградцы — участники Всесоюзной сельскохозяйственной выставки

(Из писем в адрес Центрального павильона Ленинградской области)

Ленинградцы — участники Всесоюзной сельскохозяйственной выставки

(Из писем в адрес Центрального павильона Ленинградской области)

Ленинградцы — участники Всесоюзной сельскохозяйственной выставки